ნახტომები სტრატოსფეროდან

1965 წლის 24 ივნისს 9 პარაშუტისტმა ქალმა განახორციელა ჯგუფური დაყოვნებული ნახტომი სტრატოსფეროდან (12.100 მეტრის სიმაღლე).

177 წამი გრძელდებოდა თავისუფალი ვარდნა პარაშუტის გაუხსნელად. აღნიშნულ დროში მსოფლიო რეკორდსმენებმა ს. ვლასოვამ, რომელმაც პირველმა გადაახიჯა საჰაერო უფსკრულში, ა. მალიშევამ, ო. რუკოსუევამ, ნ. გრიშჩენკოვამ, ა. კონსიტსკაიამ, ლ. მასიჩმა, გ. სარივინამ, ლ. კულეშოვამ და ნ. ხასოვამ იფრინეს 11.000 მეტრი და მხოლოდ ამის შემდეგ გაშალეს აბრეშუმის მოშრიალე გუმბათები.

უფრო ადრე — ნახტომი 11.750 მეტრიდან პარაშუტის დაუყოვნებლივი გახსნით განახორციელა კიდევ ერთმა ჯგუფმა ა. კოროვიჩკინას, ა. ზალუსკაიას, ნ. გოლდობინას, გ. გრუდინინას, ტ. სუხარევას, ტ. დუგანოვას, ე. ჩეპელევას, ნ. პანკოვასა და ს. კაროს შემადგენლობით. თავიანთი მეგობრებისაგან განსხვავებით მათ ჰაერში დაჰყვეს 30 წუთი.

ამრიგად, ორივე ჯგუფმა დაამყარა მსოფლიო რეკორდები. ჩვენ პლანეტაზე არასდროს და არსად არ განუხორციელებიათ ასეთი სიმაღლიდან ჯგუფური ნახტომები.

მაგრამ მსოფლიო რეკორდების მიღწევები ამით არ ამოუწურავთ საბჭოთა პარაშუტისტებს. 29 ივნისს, ღამით ლ. რუკოსუევამ და გ. გრუდინინამ განახორციელეს ერთეული ნახტომები. პირველმა 12.500 მეტრი სიმაღლიდან თავისუფალ ვარდნაში იფრინა 11.900 მეტრი, ხოლო მეორემ—12.550 მ სიმაღლეზე დაუყოვნებლივ გახსნა პარაშუტი. ხოლო დილით „ან-12“ თვითმფრინავმა ჰაერში აიყვანა კიდევ ორი სპორტსმენი ქალი. ა. კონსიტსკაია გადმოხტა 12.560 მეტრი სიმაღლიდან, იფრინა თავისუფალი ვარდნით (პარაშუტის გაუხსნელად) 11.960 მეტრი, ხოლო ტ. სუხარევა სტრატოსფეროში გამოვიდა 12.580 მეტრ სიმაღლეზე და დაუყოვნებლივ გახსნა პარაშუტი. ორივე სპორტსმენი მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — ჯგუფური დაყოვნებული ნახტომის პირველი წამები; ქვევით — საბჭოთა პარაშუტისტი ქალები მსოფლიო რეკორდების დამყარების შემდეგ მსოფლიოში პირველი კოსმონავტის ი. გაგარინის ველზე დაშვების ადგილზე აღმართულ ობელისკთან.

ფოტო ლ. პოლიკაშინისა (სატდესი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 137 (2857) ● ოთხშაბათი, 14 ივლისი, 1965 წ. ● ფასი 2 კაპ.

ვადა — 20 სექტემბერი

სპორტულ სიმღერებსა და მარშებზე გამოცხადებული კონკურსის გამო

როგორც ცნობილია, საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა მიმდინარე წლის თებერვალს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოაცხადეს საუკეთესო სპორტული სიმღერებისა და მარშების შექმნის დახურული კონკურსი. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს თავიანთი ნაწარმოებები უნდა გამოეგზავნათ 1965 წლის 1 მაისამდე, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის სახელზე.

ახლახან საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და საქართველოს სპორტკავშირის პროპაგანდის ფედერაციების ბიუროს წინადადებით კონკურსის ვადა გაგრძელებულ იქნა 1965 წლის 20 სექტემბრამდე.

შევახსენებთ კონკურსის პირობებს.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 300 მანეთის ოდენობით;

ორი მეორე პრემია — თვითეული 200 მანეთის ოდენობით;

ორი მესამე პრემია — თვითეული 100 მანეთის ოდენობით.

ყოველი გამარჯვებული სიმღერისა და მარშის ტექსტის ავტორებს მიეცემათ 50 მანეთი.

კონკურსში გამარჯვებულ ნაწარმოებებს საქართველოს „მუსფონდი“ ცალკე კრებულად გამოსცემს.

◆ **ბ ე რ ლ ი ნ ი,** 13 ივლისი. 250 კბ სმ კლასის მოტოციკლებით კროსში მსოფლიო ჩემპიონატის XI ეტაპი მოიგო პ. ფრიდრიჰმა (გდრ). II ადგილზეა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი ჟ. რობერი (ბელგია). საბჭოთა სპორტსმენთაგან ამ ეტაპზე საუკეთესო იყო IV ადგილზე გასული გ. დრაუგსი (რიგა). მოსკოველმა ი. აგეევმა IX ადგილი დაიკავა. წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერი ვ. არბეკოვი (მოსკოვი) ვარჯიშისას მსუბუქად დაშავდა და ეტაპის სტარტზე ველარ გამოვიდა. 11 ეტაპის შემდეგ არბეკოვს 49 ქულა აქვს, ხოლო მის უახლოეს მეტოქეს — რობერს — 40.

◆ **ნიუ-იორკი,** 13 ივლისი. აქაური ტრადიციული საფეხბურთო ტურნირის მორიგი მატჩი — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი) — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ (ინგლისი) დამთავრდა ფრედ — 1:1. ამ საერთაშორისო შეჯიბრებას ლიდერობს „ფერენცვაროში“, რომელსაც 3 თამაშის შემდეგ 4 ქულა აქვს.

◆ **ლონდონი,** 13 ივლისი. გაიხად დიდი ბრიტანეთის სტადიონებზე, როგორც ცნობილია, გაიმართება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩები. ლონდონის საფეხბურთო ტოტალიზატორში მეტოქეთა შანსები ახლა ასე ფასდება: ბრაზილია — 5-დან 2, ინგლისი — 6-დან 1, არგენტინა — 8-დან 1, უნგრეთი და პორტუგალია — 12-დან 1, სსრ კავშირი და ურუგვაი — 16-დან 1.

[illegible] საათი!

◆ **პ რ ა ღ ა,** 13 ივლისი. რომიცკის მემორიალში მონაწილე მძლეოსნები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაემგზავრნენ. ოტროკოვიცეში 2000 მეტრზე რბენაში ჩეხოსლოვაკიის ახალი რეკორდი დაამყარა ტოკიოს ოლიმპიადის პრიზიორმა ი. ოდლოჟილმა — 5.8,6. II ადგილი დაიკავა ცნობილმა ახალზელანდიელმა პ. სნელმა — 5.12,6. ოლიმპიურმა ჩემპიონმა 5.000 მეტრზე რბენაში რ. შიულმა (აშშ) ბრნოში 3000 მეტრი გაირბინა 8 წუთსა და 4 წამში.

◆ **ლონდონი,** 13 ივლისი. საზაფხულო უნივერსიადაში მონაწილეობის მისაღებად (20-29 აგვისტო) ბუდაპეშტს გაემგზავრება დიდი ბრიტანეთის 90-მდე სპორტსმენი. მძლეოსნებს წაუძღვება სიგრძეზე ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონი ლ. დევისი. დიდი ბრიტანეთის სპორტსმენები იასპარეზებენ აგრეთვე ცურვაში, ფარიკაობაში, ჩოგბურთში, წყალბურთსა და სპორტულ ტანვარჯიშში.

◆ **პ რ ა ღ ა,** 13 ივლისი. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში სტარტი აიღო ევროპის VIII ახალგაზრდულმა შეჯიბრებამ მაგიდის ჩოგბურთში. 19 ქვეყნის წარმომადგენლები გამოცდას იჭერენ სპორტულ სიმწიფეზე. ამ ასპარეზობებს სხვანაირად „იმედების ტურნირსაც“ უწოდებენ. პირველ დღეს საბჭოთა ჭაბუკებმა ერთნაირი ანგარიშით (5:0) დაამარცხეს ლუქსემბურგის, ბელგიის, გფრ-ის სპორტსმენები და ნახევარფინალში გავიდნენ. თავი ისახელეს გოგონებმაც. მათაც ერთნაირი ანგარიშით (3:0) მოუგეს საფრანგეთისა და იუგოსლავიის I ნაკრებ გუნდებსა და ჩეხოსლოვაკიის II ნაკრების ჩოგბურთელებს.

◆ **კიევი,** 13 ივლისი. უკრაინის პროფკავშირთა სპარტაკიადაში კონკურსგარეშე მონაწილე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. პრესმა გაიმეორა თავისივე საკავშირო რეკორდი 80 მეტრზე თარჯრბენში — 10,5 წამი.

◆ **ბ რ ა ზ ა ვ ი ლ ი.** 13 ივლისი. იმ 30 ქვეყნის სპორტსმენთა შორის, რომლებიც პირველად მიიღებენ მონაწილეობას აფრიკის I თამაშებში, ბრაზავილს უკვე ეწვივნენ ალჟირის წარგზავნილები. დელეგაციის ხელმძღვანელმა, ალჟირის ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა შენდფუ შენტუფმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნიდან თამაშებში გამოვა 70 სპორტსმენი. ალჟირელები მონაწილეობას მიიღებენ სპორტის შვიდ სახეობაში.

პირველი თამაში — ფრე

მ ა რ გ ა ნ ე ც ი, 13 ივლისი (დ ე პ ე შ ი თ, ჩ ვ ე ნ ი ს პ ე ც. კ ო რ.). გუშინ აქ დაიწყო საკავშირო გათამაშება ფეხბურთში „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატთა კოლექტივებთან არსებულ მოზარდთა მოსამზადებელ გუნდებს შორის.

თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის გუნდს პირველი შეხვედრა ჰქონდა ლენინგრადის „ზენიტთან“. პირველი ტაიმი ქართველ სპორტსმენთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ლენინგრადელებმა თავიანთი ერთ-ერთი ეპიზოდური იერიში წარმატებით დაამთავრეს — 1:0.

მეორე ტაიმის მე-3 წუთზე გიორგობიანმა ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მე-8 წუთზე საფაროვმა წინ გაიყვანა თბილისელები — 2:1.

მატჩის დასასრულს 5 წუთი უკლდა, როცა ჩვენს დაცვაში დაშვებულ იქნა შეცდომა, რომელიც უმალვე გამოიყენეს ლენინგრადელებმა — 2:2.

დონეცკის „შახტიორმა“ მოუგო მოგილიოვის „სპარტაკს“ — 7:1, ხოლო „დნეპრმა“ (დნეპროპეტროვსკი) და „ლუჩაფერულმა“ (ტირასპოლი) ითამაშეს ფრედ — 0:0.

ზ. ბაქანიძე.

საფეხბურთო პრიზებისათვის ბრძოლაში...

„ა“ კლასი

გ. ი. ფედოტოვის პრიზზე (გუნდი, რომელმაც ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა): მოსკოვის „ტორპედო“ — 21, „დინამო“ (თბილისი) და „ზენიტი“ — 18-18, ცსკა, „შახტიორი“ და „დინამო“ (კიევი) — 17-17.

გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ პრიზზე (გამარჯვებისკენ სწრაფვა): „დინამო“ (თბილისი), „სპარტაკი“, „ტორპედო“ (მოსკოვი) და „კრილია სოვეტოვი“. მათ მოიგეს თითო მატჩი, რომლებშიც მეტოქეები იყვნენ დაწინაურებული.

ყოველკვირეულ „ფუტბოლის“ პრიზზე (ყველაზე მეტი მოგებისთვის 3 და მეტი ბურთის განსხვავებით): ცსკა, „ტორპედო“ (მოსკოვი), „დინამო“ (კიევი) და „ზენიტი“ — 2-2 მოგება; თითო-თითო გამარჯვება აქვთ თბილისის, მინსკის და მოსკოვის დინამოელებს, აგრეთვე „ნეფტიანიკს“, ქუთაისის, „ტორპედოსა“ და „შახტიორს“.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს პრიზზე (ყველაზე ძლიერი გუნდი დუბლიორთა შორის): „დინამო“ (მინსკი) — 17 ქულა, „სპარტაკი“ (მოსკოვი), „ლოკომოტივი“ და სკა (როსტოვი) — 14-14.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზზე (კოლექტივი, რომელსაც აღმოაჩნდება უკეთესი მაჩვენებელი ძირითად და დუბლშემადგენლობათა შედეგების შეჯამებისას): ცსკა და „დინამო“ (მინსკი) — 31-31 ქულა, „ტორპედო“ (მოსკოვი) — 30 ქულა.

გაზეთ „ტრუდის“ პრიზზე (საუკეთესო ბომბარდირი): ვ. ბარქაია (თბილისის „დინამო“), ვ. ლობანოვსკი („ჩერნომორეცი“) და ლ. გორშკოვი („ლოკომოტივი“) — 7-7 გოლი, ვ. შჩერბაკოვი (მოსკოვის „ტორპედო“), ბ. კაზაკოვი და ვ. ფედოტოვი (ორივე — ცსკა) და ა. კაზაკოვი („კრილია სოვეტოვი“) — 6-6.

ზღვისა და მთის შესაყართან

დევიზი: ყველა სოფელს— კომპლექსური მოედანი!

— ოუ, მაი დია ოულდ მენ, მითხარით, კეთილო მოხუცო, სად შემიძლია ვიხილო ჩადროსანი აჭარელი ქალიშვილი? — მიმართა ეგზოტიკის მოყვარულმა ინგლისელმა ლედიმ აჭარელ მოხუცს, რომელიც ჩაის ბუჩქს სხლავდა. — შორს არიან აქედან?

— ჩადროსანი აჭარელი!... — წელში გაიმართა მოხუცი, — ა-ა-ა... სულ ახლოს. გადაუთარგმნეთ პატივცემულ ქალბატონს, რომ დღეს კვირაა და კოლმეურნეობის სტადიონზე თუნდაც ჩადროსანთა მთელ არმიას იხილავს...

რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ლედიმ შავი სათვალე მოიხსნა და სტადიონს გახედა, ასეთი სურათი დაინახა: აჭარელი ქალიშვილები... სპორტულ ტრუსებსა და მძლეოსნურ ფეხსაცმელებში...

— მაი გოდ, ღმერთო ჩემო, ესენი ხომ ნამდვილად ლონდონელი ქალიშვილები არიან!

ერთმა „ჩადროსანმა" სპორტსმენმა შენიშნა:

— ახლა აჭარაში ცოცხალ მამონტს უფრო იოლად იხილავთ, ვიდრე ჩადროსან ქალიშვილს.

— და ერთიც, ლედი: მარტო ბათუმის რაიონში უფრო მეტი სპორტული ბაზაა, ვიდრე ლივერპულის პროვინციის ყველა სოფელში...

ლედიმ, რა თქმა უნდა, არ იცოდა ეს. მაგრამ იცით, თუ არა თქვენ, რომ:

1. ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ირიცხება 9.100 მუშა-მოსამსახურე, რომელთაგან 5.770 ფიზკულტურელი და სპორტსმენია?

2. რაიონის ნებაყოფლობითმა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნემ" წელს აღზარდა მშთ-ს I და II საფეხურის 363 ნიშნოსანი, ვალდებულება კი 339 ნიშნოსანს ითვალისწინებდა?

3. ბათუმის „კოლმეურნის" პირობაა წელს მოამზადოს 12 პირველი, 60 მეორე და 126 მესამეთანრიგოსანი სპორტსმენი. და თუმცა დეკემბრამდე წლის ნახევარი დისტანცია დარჩა, სტატისტიკა იძლევა საგულისხმო ცნობას: მწყობრში დგას თანმიმდევრულად: 4, 61 და 120 თანრიგოსანი?

4. წლის ფინიშთან რაიონის „კოლმეურნის" რიგებს შეავსებს 48 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 55 კვალიფიციური მსაჯი?

5. ბათუმელთა „კოლმეურნე" აერთიანებს 34 ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ რაიონის, ოლქისა და რესპუბლიკის 14 შეჯიბრებაში?

6. ბათუმელები უკვე 8 წელია „საკუთარ ოჯახში" ინახავენ საქართველოს სოფლის სპორტსმენთა „გენერალური შტაბის" — „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თასს კლასიკურ ჭიდაობაში?

თავისთავად ცხადია, ყველაფერს თავისი საფუძველი აქვს. ბათუმის „კოლმეურნის" წარმატებათა საფუძველი კი ის გახლავთ, რომ რაიონის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად ზრუნავენ სპორტული ბაზების მშენებლობასა და ინვენტარის შეძენაზე. ალბათ, ბევრ საოლქო ქალაქს შეშურდება ბათუმელთა სპორტული კომბინატი, რომელიც სოფლის სპორტსმენთათვის შენდება ქალაქის განაპირას. ამ უზარმაზარი სპორტული ბაზის ტერიტორიაზე მოთავსებულია ფეხბურთის 2, ფრენბურთის 8 (!) და ხელბურთის კეთილმოწყობილი მოედანი. გათვალისწინებულია, რომ წელსვე მოეწყოს კალათბურთის ორი, ხელბურთისა და ფეხბურთის კიდევ თითო მოედანი. კომბინატის ძირითად შენობაში, სადაც, სხვათა შორის, რაიონის „კოლმეურნის" ხელმძღვანელთა რეზიდენციაც არის მოთავსებული, ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 50-საწოლიანი სასტუმრო, ინვენტარის საწყობი, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის, ძალოსნობის ბაზები და საექიმო კაბინეტი.

ბაზის მშენებლობას დიდ დახმარებას უწევს კომკავშირის რაიონული კომიტეტი, რომელმაც ჭადრაკის სათამაშო დარბაზის მშენებლობა იკისრა. რაიაღმასკომმა კი ერთი სატვირთო მანქანა გადასცა კოლმეურნე სპორტსმენთა „ლუჟნიკს".

—რაიონში დღითიდღე ფართოვდება ბაზების მშენებლობა, — ამბობს „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ვ. ქყონია. — „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს დადგენილება, რომელიც სოფლად სპორტული მუშაობის შემდგომ აღმავლობას ითვალისწინებს, საბრძოლო პროგრამად იქცა ჩვენთვის. ახლა იმისთვის ვიღვწვით, რომ ყოველ სოფელს ჰქონდეს თავისი კომპლექსური მოედანი, დარბაზი და ინვენტარი.

კარგია, როცა სიტყვას საქმე მოსდევს.

სოფლის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ თვით კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობათა დირექტორები. მახინჯაურის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის დახმარებით ახალგაზრდებმა მოაწყეს კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, დირექტორმა დ. ტუღუშმა კი 550 მანეთის ინვენტარი უყიდა მეურნეობის სპორტსმენებს. სასაზღვრო სოფელ მარადიდში კოლმეურნეობის თავმჯდომარის შ. დიდმამიძის ინიციატივით დაწყებულია ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნებისა და ტანვარჯიშული ბაქნის მშენებლობა.

ფიზიკური კულტურა ღრმად შეიჭრა აჭარის სხვა სოფლებშიც. ავიღოთ, თუნდაც, კირნათი. ეს ის სოფელია, რომელსაც ორად ჰყოფს არა მარტო ჭოროხი, არამედ სახელმწიფო საზღვარიც. ორივე მხარე ქართველებით არის დასახლებული. ზოგჯერ აქაური ქართველები ხედავენ, თუ როგორ თამაშობენ ფეხბურთს საზღვარგარეთელი მოძმეები. უბუცოდ და უტრუსოდ, უმსაჯოდ და უსასტვენოდ...

აქეთა მხარეზე კი ორი მდიდარი, შეძლებული კოლმეურნეობაა. ორივე კოლმეურნეობას აქვს საკუთარი კომპლექსური მოედანი, სადაც 10-10 სპორტული სექცია ვარჯიშობს. ახლა კი კოლმეურნეობებმა სკოლა-ინტერნატის მშენებლობა წამოიწყეს. სკოლის შენობას დაამშვენებს ფიზკულტურის დარბაზი, კალათბურთის, ფრენბურთისა და ტანვარჯიშის კეთილმოწყობილი მოედნები.

ცხარე დღეებია ახლა ბათუმის რაიონში. პლანტაციებში იკრიფება ზეგემითი ჩაი, მინდვრებში ითოხნება სიმინდი, თვალისჩინივით უვლიან ციტრუსებს, ნაწვერალზე გუგუნებენ ტრაქტორები...

მანქანები გუგუნებენ მომავალ სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზეც...

ბ. შადური.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბათუმის რაიონი.

სურათზე: სოხუმის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზზე აფროსნობაში გამართული ასპარეზობის ერთ-ერთი მომენტი.
ფოტო ვ. სემიონოვისა.

ლიდერობს ლ. კოროშინაძე

ბორჯომი, 13 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში გათამაშდა გადადებული პარტიები. ორი გამარჯვება მოიპოვა კუპრაშვილმა — ჩომახიძესთან და ბაძალუასთან, ხოლო ჩაიკოვსკაიასთან პარტიაში იგი დამარცხდა. ყაიმით დამთავრდა კოროშინაძე—ნამორაძისა და დალაქიშვილი—ნამორაძის პარტიები. 5 ტურის შემდეგ ლიდერობს კოროშინაძე — 4 ქულა (5-დან). ალექსანდრიასა და ჩაიკოვსკაიას 3,5-3,5 ქულა აქვთ (4-დან). ხვალ ტურნირის მონაწილენი ისვენებენ. 15 ივლისს გაიმართება VI ტური.

რევანში 25 წლის შემდეგ

ბრიანსკი, 13 ივლისი. ამ ქალაქის მცხოვრებთა დიდ ინტერესს იწვევს ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. გულშემატკივართა თხოვნით ორი ტური გაიმართა ბეჟიცკის სამრეწველო რაიონში და რკინიგზელთა კულტურის სასახლეში.

მსოფლიოში ცნობილმა მოჭადრაკეებმა ჩაატარეს ერთდროული თამაშების სეანსები და დამსწრეთ მოუთხრეს მსოფლიო პირველობის შესახებ.

ტურნირის მონაწილეებთან ერთად, ჭადრაკის მოყვარულებს ეჯიბრებოდნენ ჩამოსული დიდოსტატებიც. საინტერესო შემთხვევა ჰქონდა ი. ბონდარევსკის. მან 25 დაფაზე ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი და მხოლოდ ერთთან — სელცოვის საშუალო სკოლის მასწავლებელ ი. სპრავცევთან დამარცხდა. მასწავლებელმა მეოთხედი საუკუნის შემდეგ აიღო რევანში. თურმე მეტოქენი კიევში 1940 წელს შეხვედრიან საჭადრაკო სეანსში და მაშინ სტუდენტ სპრავცევს დიდოსტატთან წაუგია.

ჭადრაკი

იმ მრისხანე, გმირულ დღეთა მოსაგონებლად...

გორის სპორტკავშირისა და დოსააფის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით ეწყობა მოტოგადარბენა, რომელიც მიეძღვნება დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების 20 წლისთავს. მოტოგადარბენის ტრასა გაივლის 414-ე ანაპის ქართული გვარდიული დივიზიის ბრძოლების ადგილებში.

სპორტსმენები სტარტს აიღებენ გორში 17 ივლისს და შეუდგებიან ჩვენი სამშობლოს გზებზე გადაჭიმულ 2.941-კილომეტრიან დისტანციას. მოტოლაშქრობის ფინიში გაიმართება გორში 30 ივლისს.

მოტოგადარბენის მონაწილენი გაივლიან საქართველოს სამხედრო გზას, გადალახავენ კავკასიონის ქედს, ჩავლენ ორჯონიკიძეში, გაივლიან ქალაქებს, სადაც ფაშისტ დამპყრობლებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები იყო გამართული (არმავირს, დონის როსტოვს), ჩრდილოეთიდან შემოუვლიან აზოვის ზღვას, ეწვევიან სიმფეროპოლს, ჩავლენ გმირ ქალაქ სევასტოპოლში. შემდეგ ტრასა გაივლის ფეოდოსიაზე, ქერჩში, ტამანზე, ნოვოროსიისკში, ტუაფსეში და მოუხვევს საქართველოს ზღვისპირეთისკენ (სოხუმი, ოჩამჩირე)...

გზადაგზა მონაწილენი მოაწყობენ ლექცია-სემინარებს იმ მრისხანე, გმირულ დღეთა მოსაგონებლად.

ფ. კვირიკაშვილი.

მძლეოსნობა

ნაკრების

„გიგანტთა მატჩის" წინ

მინსკში ამ დღეებში დამთავრდა ძმები ზნამენსკების სახელობის მძლეოსნური ტურნირი, რომელმაც გაარკვია სსრ კავშირის ახალი ნაკრები გუნდის კონტურები, ნაკრებისა, რომელსაც ამერიკელ სპორტსმენებთან შეხვედრა ელის. „გიგანტთა მატჩის" წინ საბჭოთა მძლეოსნები რამდენიმე სტარტს აიღებენ ოფიციალურ და შესარჩევ შეჯიბრებებში, თუმცა ნაკრების ძირითადი შემადგენლობა უკვე დადგენილია. მინსკის „დინამოს" სტადიონზე ნაჩვენები წამები და მეტრები საშუალებას გვაძლევენ ასე თუ ისე ვიმსჯელოთ საბჭოთა გუნდის ბრძოლისუნარიანობაზე, მის შანსებზე ამერიკელებთან მატჩში.

მოკლე დისტანციებზე რბენაში ამერიკელებს ალბათ ტრადიციული გამარჯვება დარჩებათ. საუკეთესო საბჭოთა სპრინტერებს — ე. ოზოლინს, ნ. პოლიტიკოს, გ. კოსანოვს და ახალგაზრდა ი. კაშჩეევს, რომელიც ამ ჯგუფში ზნამენსკების მემორიალის შემდეგ შევიდა, ძალიან გაუძნელდებათ ზანგ მორბენლებთან მეტოქეობა.

გრძელ სპრინტში ვ. არხიპჩუკთან ერთად სტარტს აიღებს ან ვ. ბიჩკოვი, ან, რაც უფრო მოსალოდნელია, ნ. შკვარნიკოვი. ახალგაზრდა კიეველს ჯერ არ უჩვენებია განსაკუთრებით „სწრაფი" წამები: წლეულს მან ორჯერ გაირბინა წრე 47,5 წამში, ხოლო მინსკში ფინალური გარბენი არხიპჩუკთან და ბიჩკოვთან წააგო. მაგრამ მწვრთნელებს ძალზე იზიდავთ შკვარნიკოვის ნიჭი და პერსპექტივა.

ძნელია იმის თქმა, თუ ვინ იქნება ვ. ბულიშევის კომპანიონი 800 მეტრზე რბენაში. კარგი შანსები აქვთ ვ. მიხაილოვს და რ. ტელპს, რომელიც გასულ სეზონში ბევრს გვპირდებოდა, მაგრამ ვერა და ვერ შევიდა ფორმაში. ნაკრების ხელმძღვანელები აკვირდებიან აგრეთვე ვ. ფროლოვს, რომელსაც ჩვენ უფრო 400 მეტრზე რბენიდან ვიცნობთ.

კილომეტრნახევრიან დისტანციაზე გამოვლენ ი. ბელიცკი, რომელმაც გასულ წელს „გიგანტთა მატჩში" სიურპრიზი მიართვა ამერიკელებს, და ო. რაიკო — ახალგაზრდა, მეტად საინტერესო ზიტელშტრეკერი. მინსკში რაიკომ წააგო მხოლოდ გერმანელ ი. მაისთან.

პრინციპული პაექრობა ექნებათ სტაიერებს — ნ. დუტოვს (5.000 მ) და ლ. ივანოვს (10.000 მ). მათ რევანში უნდა აიღონ შარშან ლოს-ანჯელოსში და ტოკიოში დამარცხებისთვის. ივანოვი ჩინებულ ფორმაშია. მინსკში მან თავისუფლად გაიმარჯვა და 29 წუთზე ნაკლები დრო აჩვენა. მისი პარტნიორი იქნება ს. ბაიდიუკი ან პ. ბოლოტნიკოვი. ბალტიისპირელმა სტაიერებმა კ. ორენტასმა და მ. ვილტმა ჯერ კიდევ უნდა მოიპოვონ უფლება მატჩში 5-კილომეტრიან დისტანციაზე გამოსასვლელად.

მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციაში მითხრეს, რომ პროგრამის რამდენიმე ნომერში ვეტერანები ადგილს დაუთმობენ იქნებ ჯერ უფრო სუსტ, მაგრამ ახალგაზრდა და პერსპექტიულ ახალგაზრდებს. ო. სტეპანენკომ მინსკში 110 მეტრზე თარჯრბენი გამოცდილ ლ. ჩისტიაკოვთან წააგო. არ გამიკვირდება თუ კიევის სტადიონზე, სადაც ამერიკელებთან შეხვედრა ჩატარდება, ევროპის ჩემპიონ ა. მიხაილოვთან ერთად სტეპანენკოსაც ვნახავთ. ახალგაზრდა ლვოველმა სპორტსმენმა უკვე აჩვენა 13,9 წამი.

ვ. ანისიმოვი და ი. კუკლიჩი 400 მეტრზე თარჯრბენში გამოსვლის უეჭველი კანდიდატები არიან. მათი შედეგია 50,7 წამი — ევროპის საუკეთესო მიღწევა სეზონში. არ მეეჭვება, რომ საბჭოთა სპორტსმენები გაიმარჯვებენ სტიპლ-ჩეზში. 22 წლის ჯარისკაცმა ვ. კუდინსკიმ ზნამენსკების მემორიალი მოიგო საკავშირო რეკორდით — 8.31,0, მას ცოტათი ჩამორჩება ა. მოროზოვი — მიმდინარე ზაფხულის აღმოჩენა — და ა. ალექსეიუნასი — ტოკიოს ოლიმპიური ტურნირის წინასწარ გარბენში მსოფლიო რეკორდსმენ გ. რულანტსთან გამარჯვებული.

ამერიკელი უროს მტყორცნელი ჰ. კონოლი ამჟამად მეორე ახალგაზრდობას ზეიმობს. ამას წინათ მან ურო 71 მეტრს იქით ტყორცნა. საბჭოთა სპორტსმენები გ. კონდრაშოვი, ოლიმპიური ჩემპიონი რ. კლიმი და ი. ბაკარინოვი ვერ დაიტრაბახებენ ასეთი მიღწევით, მაგრამ პირისპირ შეხვედრაში, ისიც შინ, ისინი ალბათ მსოფლიო რეკორდსმენს გამარჯვების საშუალებას არ მისცემენ.

ბირთვის კვრა და ბადროს ტყორცნა ამერიკელთა კოზირია. ამ სახეობებში საბჭოთა მწვრთნელები ალბათ ახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი 1965

გაიმართა მორიგი შეხვედრები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

● **„მეშახტე“ (ტყვარჩელი) — სკა (თბილისი) 1:0. მსაჯი მ. თოროზაშვილი (რუსთავი).**

სამაოდ ძლიერი წვიმის შემდეგ დამძიმებულ მინდორზე ფეხბურთელებს თამაში უჭირდათ. სწორედ ამის მიზეზი იყო, რომ ერთ-ერთმა არმიელმა მცველმა ცუდად მიიღო მეტოქის მიერ ფლანგიდან მოწოდებული ბურთი და საკუთარ კარში ჩაჭრა იგი. მცველის ეს შეცდომა არმიელებს წაგების ფასად დაუჯდათ.

● **„მესხეთი“ (ახალციხე) — „ცისკარი“ (ცხაკაია) 0:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).**

„მესხეთი“ სათავეში უდგას გათამაშების ცხრილს, ამიტომ ახალციხელი ფეხბურთის მოყვარულნი დიდ ინტერესს იჩენენ თავიანთი გუნდის გამოსვლებისადმი.

პროფკავშირთა რესპუბლიკურ საზაფხულო სპარტაკიადაზე წარმატებით გამოვიდა ბურევესტნიკელი მძლეოსანი ვ. ჩიტაიშვილი. ჭოკით ხტომაში მან სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

სურათზე: ჩიტაიშვილი ხტომისას.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

სპორტული ცხოვრება

სტუმრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მესხეთელებს და თამაშმა უაღრესად დაძაბული, საინტერესო ბრძოლის ხასიათი მიიღო. იყო მომენტები (განსაკუთრებით მეორე ტაიმში), როცა ცხაკაიელებს გარკვეული უპირატესობაც ჰქონდათ, მაგრამ ამ მატჩში ბურთის გატანა არ მოხერხდა.

● **„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „წინსვლა“ (წულუკიძე) 1:1. მსაჯი ვ. პეტროვი (რუსთავი).**

სტუმრებმა თავიდანვე სწრაფი ტემპი განავითარეს და „ლოკომოტივის“ კართან ზედიზედ შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი, რომელთაგან ერთ-ერთი გოლითაც დამთავრდა. სამტრედიელმა ფეხბურთელებმა შესვენების შემდეგ შეძლეს მდგომარეობის გათანაბრება — 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანეს საპასუხო გოლი.

ზონებში...

VI ზონა. ახალქალაქი — ბოგდანოვკა 5:1, წალკა—ხაშური 2:1; **VII ზონა.** ახმეტა — საგარეჯო 3:2, ლაგოდეხი — თელავი 6:0, სიღნაღი — წითელწყარო 1:1; **VIII ზონა.** ქარელი — ბოლნისი 3:1, დმანისი — კასპი 2:2, მცხეთა — თეთრი წყარო 4:1, **IX ზონა.** ონი — ჭიათურა 4:3; **X ზონა.** მახარაძე — ლანჩხუთი 2:0, აბაშა — სამტრედია 0:2. ჩოხატაურის გუნდი არ გამოცხადდა სათამაშოდ ჩხოროწყუში, რისთვისაც მას წაგება ჩაეთვალა.

გათამაშების ცხრილი

I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 18 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მესხეთი“ (ახალციხე)	15	9	3	3	20—10	21
„დილა“ (გორი)	14	9	1	4	28—12	19
„გურია“ (ლანჩხუთი)	14	7	5	2	20—12	19
„სინათლე“ (თბილისი)	14	5	7	2	23—17	17
„თოლია“ (თბილისი)	14	5	7	2	22—16	17
„შუქურა“ (ქობულეთი)	13	6	5	2	23—18	17
სკა (თბილისი)	15	4	8	3	31—19	16
„ცისკარი“ (ცხაკაია)	15	4	7	4	17—16	15
„მეშახტე“ (ტყვარჩელი)	15	6	3	6	13—17	15
„წინსვლა“ (წულუკიძე)	16	5	5	6	19—31	15
„განთიადი“ (ბორჯომი)	14	4	4	6	15—19	12
„სამეგრელო“ (ზუგდიდი)	15	3	6	6	12—22	12
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	14	3	5	6	11—14	11
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	15	2	7	6	12—16	11
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	14	4	3	7	17—21	11
„მერცხალი“ (მახარაძე)	14	3	3	8	15—20	9
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	14	1	7	6	11—21	9

„ბ“ კლასი

რსფსრ-ს IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	15	9	5	1	23—7	23
„დინამო“ (კიროვაბადი)	15	10	3	2	16—5	23
„დინამო“ (მახაჩყალა)	15	10	2	3	21—11	22
„დინამო“ (ბაქო)	15	10	2	3	26—12	22
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	15	9	2	4	24—11	20
„ალაზანი“ (გურჯაანი)	15	7	4	4	18—11	18
„დინამო“ (სოხუმი)	14	7	2	5	26—15	16
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	16	6	4	6	16—16	16
„ლორი“ (კიროვაკანი)	15	7	2	6	16—16	16
„შირაქი“ (ლენინაკანი)	15	6	3	6	19—19	15
„უროჟაი“ (მაიკოპი)	16	6	3	7	20—21	15
„დინამო“ (ბათუმი)	15	4	6	5	11—11	14
„კოლხიდა“ (ფოთი)	15	5	4	6	10—17	14
„მეშახტე“ (ტყიბული)	15	5	3	7	19—20	13
„ენგური“ (ზუგდიდი)	15	2	7	6	12—20	11
„დინამო“ (სტავროპოლი)	16	2	6	8	13—26	10
„შრ. რეზერვები“ (კისლოვოდსკი)	16	3	4	9	12—26	10
„მეტალურგი“ (რუსთავი)	15	1	7	7	11—22	9
„ფოლადი“ (სუმგაითი)	15	3	3	9	11—24	9
„ლერნაგორცი“ (კაფანი)	14	1	4	9	12—26	6

უცხოეთის ამბები

„ბენფიკა“ აგებს

სამხრეთ ამერიკაში იმყოფებიან ევროპის უძლიერესი კლუბები. გუშინწინ ერთმანეთს შეხვდნენ პორტუგალიის ჩემპიონი „ბენფიკა“ (ლისაბონი) და ესპანეთის ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი „ატლეტიკო“ (მადრიდი).

პორტუგალიელებმა საბრძოლო შემადგენლობა გამოიყვანეს (მათ აკლდათ მხოლოდ მარცხენა გარემარბი სიმოესი).

უკვე მე-4 წუთზე ესპანელთა მარჯვენა გარემარბმა უფარტემ გაიტანა გოლი „ბენფიკას“ კარში — 1:0. ესპანელთა უპირატესობა აშკარა იყო. მთელი პირველი ნახევრის მანძილზე პორტუგალიელთა „ვარსკვლავმა“ ეუსებიომ მხოლოდ ერთხელ შეძლო კარში დარტყმა (მას ფეხდაფეხ სდევდა ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი გლარია).

მეორე ნახევრის პირველივე წუთებზე „ატლეტიკოს“ მარცხენა გარემარბმა კარდონამ თავით გაიტანა მეორე გოლი კოსტა პერიერას კარში — 2:0.

პორტუგალიელებმა ორი მოთამაშე შეცვალეს, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. ეუსებიომ ორჯერ მოახერხა მეტოქის კარისკენ გაჭრა, მაგრამ მისი უძლიერესი დარტყმები კუთხურზე მოიგერია ესპანელთა მეკარე მადინავეიტიამ.

უკანასკნელ წუთებზე მადრიდელებმა მესამედ დააწყებინეს პორტუგალიელებს ცენტრიდან თამაში — 3:0.

(საკ. ინფ.).

ალტაფინი „ინტერში“

იტალიის „საფეხბურთო ბაზარზე“ გრძელდება ვაჭრობა. ცნობილი ბრაზილიელი ცენტრფორვარდის ალტაფინი-მაცოლას ყიდვას მრავალი კლუბი აპირებდა, მაგრამ ყველას აჯობა „ინტერნაციონალეს“ პატრონმა, მილიონერმა ა. მორატიმ, რომელმაც 350 მილიონი ლირა გაიღო ამ საქმისთვის.

„ფოჯას“ ახალგაზრდა პერსპექტიული ცენტრფორვარდი ნოჩერა 160 მილიონად იყიდა I ლიგის დებიუტანტმა „ნაპოლიმ“. „ფიორენტინას“ ცენტრალური თავდამსხმელი ორლანდო ორი ტურინული კლუბის — „ტორინოსა“ და „იუვენტუსის“ დავის საბაბად იქცა. საბოლოოდ, ორლანდო „ტორინოში“ აღმოჩნდა, ხოლო ამ გუნდის ცენტრფორვარდი, 30 წლის ინგლისელი ჰიტჩენსი „ატალანტაში“ გადაბარგდა. რაკი ორლანდო ხელიდან გაუსხლტა, „იუვენტუსმა“ ბრაზილიელ ჩინეზინიოს მიხედა, რომელშიც „კატანია“ 140 მილიონ ლირას ითხოვს.

„ინტერნაციონალეს“ მწვრთნელმა ე. ერერამ სამი მეკარიდან, როგორც იქნა, აირჩია ერთი — მინიუსი („ვარეზე“). თავის მხრივ, ერერამ სხვადასხვა კლუბს ხუთი ახალგაზრდა ფეხბურთელი მიჰყიდა, დედაქალაქის „რომამ“ „სამპდორიასაგან“ შეიძინა არგენტინელი ვეტერანი ლოიაკონო. იტალიური პრესის კომენტატორების აზრით, ყველაზე მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა „იუვენტუსმა“ — ისედაც კარგი დაცვის პატრონმა კიდევ 4 მცველი შეისყიდა.

(საკ. ინფ.).

თასი „მილანს“

კარაკასში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ იტალიის „მილანი“, ბრაზილიის „სანტოსი“ და ესპანეთის „ვალენსია“. უკანასკნელ მატჩში „მილანი“ შეხვდა „ვალენსიას“ (სამი დღით ადრე, როგორც ვიუწყებოდით, იტალიელებმა მოუგეს „სანტოსს“ — 1:0).

პირველ ნახევარში მილანელებმა ფორტუნატომ და სალვიმ ორი გოლი გაიტანეს — 2:0. შესვენების შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა.

ამრიგად, „მილანმა“ მოიპოვა 1965 წლის „კარაკასის თასი“.

(საკ. ინფ.).

ახალი ამბები

● **ტაშკენტი**, 12 ივლისი. უზბეკმა მთამსვლელებმა კიდევ ერთი შესწორება შეიტანეს შუა აზიის გეოგრაფიულ რუკაში. ტიან-შანის მთებში მათ დაიპყრეს უსახელო მწვერვალი და მას „ბროლი“ უწოდეს, რადგან მის ფერდობებზე აღმოაჩინეს მთის ბროლის კრისტალები.

● **მოსკოვი**, 12 ივლისი. ჰამბურგს გაემგზავრნენ წყალში ხტომის საბჭოთა ოსტატები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის თასის II გათამაშებაში. გუნდის შემადგენლობაში არიან გ. ალექსეევა, ვ. ბაკლანოვა, ნ. კუზნეცოვა, თ. ფედოსოვა, ვ. ვასინი, ს. კოჩარიანი, ვ. კუვშინკინი, მ. საფონოვი. გუნდის წევრთა საშუალო ხნოვანება 18 წელს არ აღემატება.

● **კიევი**. აქ დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს საჭადრაკო ჩემპიონატი ქალთა შორის. ჩემპიონის სახელი მოიპოვა თბილისელმა პირველთანრიგოსანმა სვეტლანა ივანოვამ, რომელმაც ბოლო ტურში დაამარცხა საერთაშორისო ოსტატი ო. იგნატიევა.

▲ **ნეაპოლსა** და კუნძულ კაპრს შორის ხშირად ეწყობა გრძელ მანძილზე მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებები, რომლებშიც მრავალი ქვეყნის სახელოვანი სპორტსმენები მონაწილეობენ. ასეთი ასპარეზობა გაიმართა ამას წინათაც, რომელიც რიცხვით XII იყო. 33 კილომეტრის (მანძილი ნეაპოლსა და კაპრს შორის) გასაცურავად სტარტზე დადგა 21 სპორტსმენი, მათ შორის 7 ქალი. ვაჟთა შორის გაიმარჯვა 24 წლის მ. ხანაფიმ (არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა), რომლის დროა 9:21.49,0. ქალებში პირველი იყო ჰოლანდიელი ჯ. დენისი, რომელმაც, სხვათა შორის, უკან მოიტოვა 10 ვაჟიც.

კონკურები

კიევი, 31 ივლისი — 1 აგვისტო

ლგაზრდებს გამოცდიან. ვ. ლიპსნისთან ერთად შესაძლოა გამოვიდეს ე. გუშჩინი. ეს ათლეტური აღნაგობის ჭაბუკი ბირთვს 18 მეტრამდე ჰკრავს. შუბის მტყორცნელთა ბალტიისპირულ დუეტს — ი. ლუსისს და მ. პაამას „გიგანტთა მატჩზე“ ვერავინ გაუწევს სერიოზულ კონკურენციას.

— ამერიკელებთან მატჩში აუცილებლად ავიღებ 220 სანტიმეტრ სიმაღლეს, — გვითხრა ვ. ბოლშოვმა, როცა მინსკში პირადი რეკორდი დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში (218 სმ). ვ. ბრუმელი მიმდინარე ზაფხულს ჯერ კიდევ არ გამოსულა სტარტზე, მაგრამ ამას წინათ საწვრთნელ ვარჯიშზე 213-215 სმ გადალახა.

სსრ კავშირისა და აშშ-ის ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში ი. ტერ-ოვანესიანი მუდამ განსაკუთრებული სერიოზულობით ემზადება რ. ბოსტონთან შესახვედრად. მსოფლიო რეკორდსმენს უნდა ეშინოდეს საბჭოთა გუნდის მეორე ნომრის — ლ. ბარკოვსკისაც, რომელთანაც გასულ წელს ლოს-ანჯელოსში დამარცხდა. სამხტომში საბჭოთა სპორტსმენები ჯერჯერობით არც თუ ისე კარგად გამოიყურებიან. ახალგაზრდა ვ. სანეევი სტაბილურად ხტება 15,80-15,90 მეტრზე, გამოცდილი ა. ზოლოტარიოვი და ო. ფედოსეევი კი თანაბრად ვერ გამოდიან. ვფიქრობ, ასეა თუ ისე, ისინი მაინც მოუგებენ ამერიკელებს.

გ. ბლიზნეცოვს, რომელმაც ტოკიოში უკან ჩამოიტოვა სახელგანთქმული ჯ. პენელი, დიდი ხანია არ უვარჯიშია და მინსკში ჭოკით ხტომაში აჩვენა მხოლოდ 4,60 მეტრი (III ადგილი). სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი ა. გერჩიკოვი გვაიმედებს, რომ მატჩისთვის ბლიზნეცოვი აღიდგენს ძალებს. მეორე ნომერი ამ სახეობაში ალბათ ა. მალიუტინი იქნება. გუნდში მოხვედრის იმედი აქვს 18 წლის ნ. კეიდანს, რომელმაც მოიგო ზნამენსკების მემორიალი (4,70).

ათჭიდში გამოვლენ ოლიმპიელები: რ. აუნი და მ. სტოროჟენკო. დიდი ოპტიმისტი უნდა იყო, რომ სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებ გუნდს „გიგანტთა მატჩში“ გამარჯვება უწინასწარმეტყველო. მაგრამ იმაში ეჭვი არ მეპარება, რომ „კოლიზეუმის“ სტადიონზე შარშანდელი განადგურება არ განმეორდება. საბჭოთა მძლეოსნებმა პოზიციები შეინარჩუნეს იმ სახეობებში, რომლებშიც ფავორიტებად ითვლებიან. ხტომებსა და ტყორცნებში მათ ამერიკელებთან ერთად უნდა გაიყონ ქულები, ათჭიდში კი გამარჯვება შეუძლიათ. ლოს-ანჯელოსში სსრ კავშირის ნაკრებმა მოულოდნელად წააგო რბენის ყველა დისტანცია. კიევის სტადიონის სარბენი ბილიკები კი მუდამ ბედნიერი იყო საბჭოთა სპორტსმენებისთვის.

აღიდგინოს დანაკარგი — ასეთია ქალთა გუნდის ამოცანა. მასში ნაცნობი სახელებია: ი. პრესი (100 მ რბენა და 80 მ თარჯრბენი), თ. პრესი (ბადრო და ბირთვი), ტ. შჩელკანოვა (სიგრძე), ლ. სამოტიოსოვა (200 მ), ე. გორჩაკოვა (შუბი), თ. დმიტრიევა (800 მ), სამოტიოსოვას გარდა, ყოველი მათგანი თითქმის უეჭველი ფავორიტია.

მინსკში ჩვენ ვნახეთ ახალგაზრდა მძლეოსანი ქალები, რომელთა მისაღებად მზადაა ნაკრები გუნდი. ესენი არიან: გ. მიტროხინა, ვ. პოპკოვა და ლ. გრიგორიევა (სპრინტი), ვ. პოპოვა, რომელმაც შუბის ტყორცნა წააგო მხოლოდ ტოკიოს ვერცხლის პრიზიორთან — უნგრელ მ. რუდაშნესთან.

მწვრთნელებს ვერ გადაუწყვეტიათ დაასახელონ მატჩის მონაწილე 800 მეტრზე რბენასა (დმიტრიევას გარდა) და სიმაღლეზე ხტომაში. მინსკში გაიმარჯვა გ. კოსტენკომ (171 სმ), მაგრამ კ. პუშკარიოვა, რომელმაც II ადგილი დაიკავა, სტაბილურად ხტება. ჯერ კიდევ ცნობილი არაა, თუ ამჟამად როგორ მზადყოფნაშია ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი ტ. ჩენჩიკი: ასპირანტურაში მეცადინეობამ მას მემორიალში გამოსვლის საშუალება არ მისცა.

საბჭოთა მძლეოსნობა მძიმე დღეშია: მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, რომელიც შეირყა ტოკიოს ოლიმპიურ სტადიონზე, ჯერ კიდევ აღუდგენელია. კიევში, ამერიკელებთან ტრადიციულ მატჩში, სსრ კავშირის გადახალისებული ნაკრები წავა გადაწყვეტილებით, რომ აღადგინოს დაკარგული წონასწორობა.

ა. სრებნიცკი.

მეხიკო—1968 წელი

სპორტნაგებობათა მაკეტები



ოლიმპიური სტადიონი, რომელიც 150 ათას მაყურებელს დაიტევს. აქ ყველაფერია გათვალისწინებული სპორტსმენებისთვის, კორესპონდენტებისა და სპორტული კომენტატორებისთვის. სტადიონი აღჭურვილია უამრავი დამხმარე სათავსოთი, საწვრთნელი ბაზითა და სხვა ნაგებობებით.



სპორტის სასახლე 20 ათასი მაყურებლისთვის. მისი აგების გეგმა იმავე არქიტექტორებმა მოამზადეს, რომელთა პროექტითაც შენდება მთელი ოლიმპიური კომპლექსი. სპორტის სასახლეში რამდენიმე სახეობის წარმომადგენლები გამართავენ ასპარეზობას (მათ შორის, საწყლოსნო სპორტის ზოგიერთი სახეობის წარმომადგენლებიც).

ჩვენი სპორტის პრაქტიკაში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა მაღალკვალიფიციური სპორტსმენი, რომელიც კარგ სპორტულ ფორმაში იმყოფება, მაინც ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს, ვინაიდან არ შეუძლია გამოვიდეს გართულებულ კლიმატურ-გეოგრაფიულ და მეტეოროლოგიურ პირობებში. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგება იმასთან დაკავშირებით, რომ მომდევნო ოლიმპიური თამაშები ჩატარდება მეხიკოში, ქალაქში, რომელიც ზღვის დონიდან 2200 მეტრზე იმყოფება.

სიმაღლესთან ორგანიზმის შეგუების საკითხი ახალი როდია, მაგრამ დღეს, ერთობ დიდ მნიშვნელობას იძენს არა მარტო ადამიანის ორგანიზმზე სიმაღლის ფაქტორის მოქმედების გამორკვევა, არამედ, პირველ რიგში, იმის დადგენაც, თუ რა გავლენას ახდენს ინტენსიური ფიზიკური მოქმედება დაქვეითებული ატმოსფერული წნევის პირობებში, თანაც მაშინ, როცა საქმე გვაქვს უმაღლეს ემოციურ განცდებთან.

საკითხი რთულდება შემდეგითაც: ჩვენ ისეთ სპორტსმენებს კი არ შევარჩევთ, რომლებიც უკეთ ეგუებიან სიმაღლეს, არამედ იძულებული ვართ უკვე გამოვლენილი მაღალკვალიფიციური სპორტსმენები შევაგუოთ სიმაღლესთან ეს კი გაცილებით უფრო ძნელია, ვინაიდან მეხიკოში სპორტსმენები არა მარტო სიმაღლის, არამედ სხვა ფაქტორებსაც წააწყდებიან.

მომავალ ოლიმპიადაში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის პირობების შესასწავლად მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოდან გაემგზავრა სპეციალისტთა ბრიგადა (ვ. სამსონაძე, ბრიგადის ხელმძღვანელი, ა. არხანგელსკი, საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი, დ. დათეშიძე, ექიმი-კლიმატოლოგი, დ. წვერავა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი).

ბრიგადა მეხიკოში ხუთ დღეს იმყოფებოდა. ეს მცირე პერიოდი მაქსიმალურად იქნა გამოყენებული ცნობების შეკრებისა და საბჭოთა ტურისტებზე გარკვეულ დაკვირვებათა ჩასატარებლად.

მეხიკო მდებარეობს ტროპიკული ზონის ზეგანეთში, 2246 მეტრის სიმაღლეზე. კლიმატური თავისებურება: ტროპიკული-კონტინენტალური. ამ რაიონში ალპური ზონა 3600 მეტრზე იწყება, ხოლო მუდმივი თოვლის ზონა — 4500 მეტრზე (1400 მეტრით მაღლა, ვიდრე სსრ კავშირის ყველაზე უფრო სამხრეთ ნაწილში). ყველაფერი ეს თავის დაღს ასვამს ამ ზონის ბუნებასა და ცხოვრებას. საშუალო წლიური ტემპერატურა მეხიკოში 14,7 გრადუსს უდრის, ხოლო ნალექების რაოდენობა — 766 მმ-ს. საგულისხმოა, რომ ნალექების 80 პროცენტი 4 თვეზე — ივნის-სექტემბრის პერიოდზე — მოდის.

ოლიმპიურ თვეს — ოქტომბერში საშუალო ტემპერატურა 14,4 გრადუსს უდრის, ხოლო ნალექების რაოდენობა — 48 მმ-ს. მეხიკოში სადღეღამისო ტემპერატურა მკვეთრად ცვალებადია. გათენებისას ოქტომბერში საშუალო ტემპერატურა 7-8 გრადუსია, შუადღისას კი 20-21 გრადუსამდე. მეხიკოს ჰაერი მნიშვნელოვნადაა დამტვერიანებული როგორც მექანიკური ნაწილაკებით, ისე ქიმიური შემადგენლობით. ამას განაპირობებს ვულკანური წარმოშობის ნიადაგზე წარმოქმნილი მტვრის დიდი რაოდენობა და მავნე ანაორთქლი, რომელსაც აგრეთვე ვულკანური წარმოშობა აქვს. ამის გამო მეხიკოს ჰავა მთელ ამერიკულ კონტინენტზე თითქმის ყველაზე ცუდად ითვლება. მაგრამ სასიცოცხლო პროცესების მიმდინარეობაზე ყველაზე უფრო უარყოფითად მოქმედი ფაქტორი მაინც დაბალი ატმოსფერული წნევაა ჟანგბადის დაბალი შემცველობით. მეხიკოში ატმოსფერული წნევა 588 მმ-ია, ხოლო ჟანგბადის პორციონალური წნევა — 120 მმ (25 პროცენტით ნაკლები, ვიდრე ზღვის სანაპიროზე).

კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გავლენის შესასწავლად ჩვენმა ექიმებმა დ. წვერავამ და დ. დათეშიძემ დაკვირვება მოახდინეს 20 საბჭოთა ტურისტზე, რომელთა ასაკი 25-40 წელი იყო (მათგან — 7 ქალი). პირველი 2-4 დღის განმავლობაში ამ ტურისტთა უმრავლესობას რაიმე არსებითი ცვლილებები არ ეტყობოდა, სამს კი ძლიერ თავბრუხვევა, ძალების გამოცლა და ძილის მნიშვნელოვანი დარღვევა აღენიშნა. ორ ტურისტს შეემჩნა კიდურების უმნიშვნელო შესივება.

როგორც წესი, ყველა ტურისტს ეტყობოდა სუნთქვის გაძნელება და ნაადრევი დაქანცულობა თვით მცირე ფიზიკური დატვირთვის დროსაც. გამოკვლევის ობიექტურმა პირობებმა გვიჩვენა პულსის მნიშვნელოვანი გაზრდა (10-16-ით). არტერიული წნევის რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეიმჩნეოდა. თითქმის ყველა გამოსაკვლევ პირს გაეზარდა მჟავიანობის პროცესის ინტენსიურობა, დაუქვეითდა სისხლის მიმოქცევის სისწრაფე, შეუმცირდა სუნთქვის შეკავების დრო საშუალოდ 20-25 წამით. თუ წინასწარი გამოკვლევების დროს სუნთქვის შეჩერებისას სისხლის ჟანგბადის შემცველობა 2-4 პროცენტით ეცემოდა, მეხიკოში იგი 8 პროცენტს აღწევდა. იგივე შეიმჩნეოდა დოზირებული ფიზიკური დატვირთვისას.

ელექტროკარდიოგრამულ ჩანაწერებში უმეტეს შემთხვევაში შეიმჩნეოდა გულის მუშაობის რიტმის დარღვევა. რა თქმა უნდა, ყველა ზემოაღნიშნული მონაცემი შემდგომ დამუშავებას, გაღრმავებას და შესწავლას მოითხოვს.

ჩვენმა ბრიგადამ დეტალურად დაათვალიერა მეხიკოს ძირითადი სპორტული ნაგებობანი. მეხიკოს სპორტული მმართველობის გენერალური დირექცია კონტროლს უწევს 46 კომპლექსს 700 სხვადასხვა სპორტული ნაგებობით. დავათვალიერეთ აგრეთვე სხვა სპორტული ცენტრები: ოკეანისა, კომპლექსური სპორტული კლუბი „ცენტრო დეპორტივო ჩეპულტაპეკი“, დახურული სპორტული დარბაზი „არენა მეხიკო“ 12000 მაყურებლისთვის, მშენებლობის პროცესში მყოფი საფეხბურთო სტადიონი „აცტეკა“ 105 ათასი მაყურებლისათვის. ვნახეთ აგრეთვე საცურაო და წყალში სახტომი აუზები, უნივერსიტეტის სპორტული ბაზები, ოლიმპიური სტადიონი 75 ათასი მაყურებლისათვის, ველორბოლის ტრასა მეხიკო—ტოლუკის (60 კმ) გზატკეცილზე. ყველა ეს სპორტული ბაზა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, უკვე ახლავე მთლიანად ვარგისია შეჯიბრებათა ჩატარებისა და წვრთნისათვის. მაგრამ რამდენიმე შენიშვნა მაინც უნდა გავაკეთოთ. ტრადიციის მიხედვით, მეხიკოში ყველა საფეხბურთო მატჩი 12 საათზე იწყება, ე. ი. მაშინ, როცა მზე ზენიტშია. სტადიონ „აცტეკას“, რომლის საფეხბურთო მინდორს ბალახის ჩინებული საფარველი აქვს, სამწუხაროდ, არ გააჩნია მოედანი წვრთნისა და მოთელვისათვის. წყალში სახტომი კოშკურები, როგორც წესი, მეხიკოში რკინა-ბეტონისაა, ამერიკული წარმოების ტრამპლინები — ლითონისა. საცურაო აუზები მობრუნების ადგილებში სიღრმით არ შეესატყვისება საერთაშორისო წესებს, ამიტომ ოლიმპიური ასპარეზობა ცურვაში ჩატარდება ახალ, მშენებლობის პროცესში მყოფ აუზში. მძლეოსნობაში ასპარეზობა გაიმართება უნივერსიტეტის ოლიმპიურ სტადიონზე, რომელიც 125 ათას მაყურებელს დაიტევს.

მიმდინარე წელს მეხიკოში ჩატარდა არქიტექტორთა კონკურსი ოლიმპიურ სპორტნაგებობათა კომპლექსის პროექტზე. მიღებულ იქნა სამი მექსიკელი არქიტექტორის პროექტი. იგი ითვალისწინებს სტადიონს 150 ათასი მაყურებლისათვის, სპორტის სასახლეს, რომელიც 20 ათას კაცს დაიტევს, დახურულ და ღია საცურაო აუზებს, აგრეთვე მთელ რიგ დახურულ მანეჟებს სპორტის სხვა სახეობებში შეჯიბრებათა ჩასატარებლად.

ნიჩბოსანთა ოლიმპიური გამოსვლები გაიმართება დასვენების ცენტრ სოჩიმილკოს არხზე. ამჟამად ეს არხი ვიწროა და ნაკლებად ღრმა (სიგანე — 35-40 მ, სიღრმე — 1,5-2 მ). განზრახულია არხის გაფართოება და გაღრმავება. მისი წყალი უმოძრაო, მღვრიე და აშმორებულია, ვინაიდან მეხიკოში საერთოდ არ არსებობს გამდინარე წყალი.

უნდა აღვნიშნოთ ველორბოლის ტრასის თავისებურებაც. მისი სტარტი შედგება ზღვის დონიდან 2400 მ სიმაღლეზე, ხოლო დისტანციის შუაში ეს დონე 3150 მეტრს მიაღწევს.

სპორტული დარბაზი „არენა მეხიკო“ (12 ათასი მაყურებლისათვის) ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. ტრიბუნები აქ ამფითეატრულადაა განლაგებული, გადახურვა — ლითონის მსუბუქი კონსტრუქციისა, ვენტილაცია — ბუნებრივი. დარბაზს ჩინებული იატაკი აქვს. აქ შესაძლებელია შეჯიბრებების ჩატარება კრივში, ჭიდაობაში, ძალოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, ფარიკაობაში.

აფროსნობაში ოლიმპიური ასპარეზობის გამართვა ნავარაუდევია მექსიკის ყურეში, მასატლანისა ან მანსანილოს რაიონებში.

საცხენოსნო სპორტში შეჯიბრება ჩატარდება ჩეპულტოპეკის პარკის ერთ-ერთ კარგად მომზადებულ ბალახიან მინდორზე. რაც შეეხება საცხენოსნო კროსს, მისთვის დისტანცია ჯერ კიდევ არ არის შერჩეული.

ტყვიით და სასტენდო სროლაში ოლიმპიელთათვის სპეციალური სასროლეთი აიგება.

ოლიმპიური სოფლის მშენებლობა ნავარაუდევია სტადიონ „აცტეკის“ ან უნივერსიტეტის ქალაქის რაიონებში. ოლიმპიური სოფლისთვის დაპროექტებულია პატარა სახლები 6-8 კაცისათვის. მექსიკელები თვლიან, რომ ეს გარემოება სპორტსმენებს უკეთეს პირობებს შეუქმნის დასვენებისა და შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად.

საუბარი გვქონდა მექსიკელ ექიმ ემილიანო სარიანოსთან, რომელმაც შეგვატყობინა, რომ მეხიკოში ჩამოსვლის პირველ დღეებში უცხოელებს ჩვეულებრივ თავბრუხვევა და თავის ტკივილი ეწყებათ, ხოლო ნორმალური ფიზიკური დატვირთვისას ისინი უფრო მეტად იღლებიან, ვიდრე ჩვეულ პირობებში. ჩამოსულთა ორგანიზმში, როგორც წესი, იზრდება ელექტროციტების რაოდენობა. სარიანოს მიაჩნია, რომ მეხიკოში ჩამოსულ უცხოელთათვის 10 დღის მანძილზე არ არის მიზანშეწონილი დიდი დატვირთვით წვრთნა. ქალებს მამაკაცებთან შედარებით რაიმე განსაკუთრებული სიმპტომები არ ეტყობათ, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ წმინდა ქალურ ფაქტორს. აკლიმატიზაციის გარდა, ექიმის აზრით, ჩამოსულთათვის დადგება კვებისა და წყლის პრობლემა. წყალი მეხიკოში ჭებიდან ამოაქვთ და ინახავენ ბაკებში, რომლებიც სახლების სახურავებზეა მოთავსებული. ეს ბაკები ყოველთვის როდი ინახება სუფთად. წყალი ჭუჭყიანდება და ეს კუჭის სხვადასხვა დაავადებას იწვევს. მუცლის მოქმედების დარღვევას, სარიანოს ცნობით, მეხიკოში ტურისტულ ავადმყოფობას უწოდებენ.

როგორც მასპინძლებმა შეგვატყობინეს, მიმდინარე წლის მარტს მეხიკოში იმყოფებოდა საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის სპორტული დელეგაცია. ეს დელეგაცია ადგილობრივ მესვეურებს მოელაპარაკა იმ საკითხზე, რომ უკვე მიმდინარე წლის ოქტომბერს საფრანგეთისა და მექსიკის ნაკრებ გუნდებს შორის სპორტის ცალკეულ სახეობებში რამდენიმე ასპარეზობა ჩატარდეს.

ჩვენი დელეგაცია იმყოფებოდა კუბაშიც და იქ საუბარი ჰქონდა ადგილობრივ ოლიმპიურ მოღვაწესთან ხოსე ლიანოსთან, რომელმაც შეგვატყობინა, რომ კუბელები თავიანთი ოლიმპიური გუნდის მოსამზადებლად მაღალმთიანი ბანაკის აგებას აპირებენ. ხოსე ლიანოსი — ძველი მოჭიდავე, ამჟამად ჰავანის ფიზიკური აღზრდის ფიზიოლოგიის კათედრის გამგე — მონაწილე ყოფილა 1955 წლის პანამერიკული თამაშებისა, რომელიც მეხიკოში ჩატარდა. მისი გადმოცემით, მოჭიდავეებმა აკლიმატიზაციის პერიოდი 10 დღეში გაიარეს, მაგრამ შემდეგაც ბრძოლა მათთვის მეტად მძიმე იყო ჟანგბადის ნაკლებობის გამო. მისივე თქმით, ამერიკელებმა, რომლებმაც აკლიმატიზაციას ერთი თვე დაუთმეს, ორთაბრძოლები გაცილებით უფრო იოლად ჩაატარეს. ლიანოსმა განაცხადა, რომ მან თვითონ ნახა, თუ ასპარეზობის დროს როგორ ხმარობდნენ ჟანგბადს ძალების შესანარჩუნებლად კალათბურთელები და მოკრივეები. მეხიკოში გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა აგრეთვე კუბის ტანმოვარჯიშეთა გუნდი. მისმა მწვრთნელმა ანგელ ფრანკომ მოგვითხრო, რომ მეხიკოში ჩასვლის პირველ დღეებში ტანმოვარჯიშეები ტკივილს გრძნობდნენ ყურებში და მალე იქანცებოდნენ, ხოლო 6-7 დღის შემდეგ სპორტსმენების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

აი, არასრული სახით, ის ცნობები, რომლებიც ჩვენმა ბრიგადამ შეკრიბა და რომლებსაც უთუოდ ანგარიშში უნდა გაეწიოს ჩვენს ოლიმპიურ სამზადისში.

ვ. სამსონაძე,
ბრიგადის ხელმძღვანელი.



მაკეტი ოლიმპიური სოფლისა და სპორტული კომპლექსის პროექტისა, რომლის ავტორები არიან არქიტექტორები ხიმენეს ხასო, ანტონიო რამოსი და გარსია პერესი. მთელი კომპლექსი (ოლიმპიური სოფელი, სტადიონი, სპორტის სასახლე) ერთიანადაა განლაგებული. აღნიშნულმა პროექტმა I პრემია მიიღო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 05603